დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები:

ქეთევან ჯანელიძე

ლელა მაისურაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **208145265**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის №750805 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„გრაფიკული დიზაინი“** დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის მიხედვით 2025 წლის 4 ივლისს განხორციელდა ვიზიტი დაწესებულებაში **(მის: ქ. თბილისი, ჯავახეთის II შესახვევი ქ.№10**). ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, როგორც პროფესიული მოდულების ასევე ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებს. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს ძირითადი მიგნებები.

აღსანიშნავია, რომ **სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბჭოს 2023 წლის 5 დეკემბრის №1650753 გადაწყვეტილებით, 9 წლის ვადით, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.** მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ხდება **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების უფლების მოპოვება.**

ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
გრაფიკული დიზაინი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.2 დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ნაწილობრივ ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის ზოგიერთი პოზიცია პროფესიული განათლების მიმართულებით, თუმცა სკოლა გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებელი განხორცილების მიზნით, უზრუნველყოს სკოლის სტრუქტურაში არსებული პოზიციების ფუნქცია-მოვალეობებში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირება.შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს ორგანიზაციული სტრუქტურა/ფუნქცია-მოვალეობები პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, რისთვისაც სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.1.1 სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ სწავლის შედეგები მიიღწევა A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში სკოლის ბაზაზე. თუმცა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, რასაც ითვალისწინებს პროგრამის დანართი ამ ეტაპზე არ არის სრულად მობილიზებული, რისთვისაც სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.1.3 პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფუნქცია მოვალეობების დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება სკოლაში დაცული განმახორციელებლების პირადი საქმეებით, სადაც განთავსებულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლა, გამომდინარე იქიდან, რომ არ აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება, გეგმავს ზოგიერთი განმახორციელებელი პირების გადამზადებას პროფესიული განათლების თავისებურებების სასწავლო პროცესში გათვალისწინების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.1.1.1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

სკოლის მისიაა აღზარდონ ქვეყნისა და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლიანი, კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე; ახალი გამოწვევების სამყაროში ხელი შეუწყონ მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას, ინტელექტუალურად და ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებით განავითარონ მოსწავლეები და პროფესიული სტუდენტები, რომლებსაც ეცოდინებათ ტექნოლოგიური მიღწევების ცხოვრებაში ეფექტიანად გამოყენება. სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 ივნისის №2-174 ბრძანებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროფესიული განათლების მიმართულებით ინტეგრირების მიზნით. მათ ასევე დაევალათ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში შესაბამისობის მოყვანა. სკოლის მიერ წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 04 ივნისის სხდომის ოქმი, ასევე, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს 05 ივნისის სხდომის ოქმები, რომლის საფუძველზეც მისია, ხედვა და ღირებულებები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ამასთან ცვლილება შევიდა სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

1.1.1.2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მისიაში გამოკვეთილია მისი როლი, როგორც სისტემაში არსებული ის საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც შესაძლებელია როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა.

1.1.1.3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

სსიპ ქალაქ თბილისის №145 სკოლის ხედვაა, სკოლის სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი სრულად მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და დაფუძნებულია სწავლა-სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლა საკუთარი მუშაობის პროცესში სიღრმისეულად იაზრებს და ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- გუნდური მუშაობა;
- განვითარებასა და ხარისხზე ორიენტირება;
- გამჭვირვალობა და ღიაობა.

1.1.1.4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის ხედვაში დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებული აქტივობების შედეგად, განხორციელდა ცვლილება, რომლითაც გამოხატულია სკოლის სამომავლო სასურველი მდგომარეობა გრძელვადიან პერსპექტივაში. სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის ღირებულებები ასახავს სკოლის მთავარ ფასეულობებს, რომლის დაცვითაც ფუნქციონირებს დაწესებულება საგანმანათლებლო სივრცეში. სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტი შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ და გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოებაში. მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო ვერსია დამტკიცდა და გამოქვეყნებული იქნა სკოლის ვებ გვერდზე, ფეისბუქ გვერდზე და გამოკრულია სკოლის ფოიეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ - N2-174 , 02.06.25 წელი;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე N2-181; 05.06.25 წელი;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1 04.06.25;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N4; 05.06.2025წელი
- დირექტორის ბრძანება სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ N2-182; 05.06.2025 წელი
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა
- სკოლის ვებ გვერდი skolebi.emis.ge
- სკოლის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100054830415849
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.1.1.1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლაში კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის და ზსდ-ს უფლებებითა და ვალდებულებებით“, რაც ასევე გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში. ასევე სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, განსაზღვრავს საქართველოს კანონთან „პროფესიული განათლების შესახებ“, მთავრობის დადგენილებასთან და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებებთან თავსებად მექანიზმებს, როგორიცაა: მობილობა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, ფორმალური განათლების აღიარება და სხვა.

3.1.1.2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლაში დაგეგმილია პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მიზნით, რაზეც პასუხისმგებელია პროფესიული განათლების კოორდინატორი. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულ სტუდენტებს გაეცნოს ზსდ-ის პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და ზსდ-სა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე. პროფესიული სტუდენტების მიერ, თავიანთი უფლებების გაცნობა დადასტურდება, პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის და ზსდ-ს უფლებებისა და ვალდებულებების“ დოკუმენტი ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირებისთვის.

3.1.1.3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს, მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, ასევე შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე. პროფესიული მასწავლებლის უფლება-მოვალეობებშიც გაწერილია, რომ იგი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს კონსულტირება და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებითი ჩატარება.

3.1.1.4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებულ პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშში ასახულია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, ასევე სკოლის ვალდებულებები.

3.1.1.5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები დარეგულირებულია სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლების შეუძლებელია სტანდარტული ასწავლო გეგმით, მათ შორის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, მობილობისას, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას და სსმ და შშმ პირთა სწავლებისას. გაწერილი მექანიზმი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში პროფესიული სტუდენტის ჩართულობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული სტუდენტის და ზსდ-ს უფლებებისა და ვალდებულებების დამტკიცების თაობაზე №N2-186 , 09.06.2025; დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე №2-203, 09.06.25 წელი;
- დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების თაობაზე №2-188; 09.06.2025
- დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ №2-185; 09.06.2025.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.1.1 დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლაში განსაზღვრულია დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ და რომელსაც იცნობს სკოლაში დასაქმებული ყველა პირი.

4.1.1.2 დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ნაწილობრივ ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის ზოგიერთი პოზიცია პროფესიული განათლების მიმართულებით, თუმცა სკოლა გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებელი განხორცილების მიზნით, უზრუნველყოს სკოლის სტრუქტურაში არსებული პოზიციების ფუნქცია-მოვალეობებში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირება.შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს ორგანიზაციული სტრუქტურა/ფუნქცია-მოვალეობები პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, რისთვისაც სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

4.1.1.1 დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დასაქმებულ პირებს შორის ფუნქცია-მოვალეობების განაწილება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების თაობაზე №2-188, 09.06.25.
- დირექტორის ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე №2-190, 13.06.25.
- სკოლის სტრუქტურა.
- პირადი საქმეები;
- ინტერვიუ.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.1.2.1 დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელიც გულისხმობს პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების პრინციპებს და აერთიანებს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.

4.1.2.2 დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელითაც დეკლარირებულია, რომ სკოლა ხელმძღვანელობს სამართლიანობის, გამჭვირვალობის, თანაბარი შესაძლებლობების, თანასწორობის პრინციპებით, რასაც ითვალისწინებს, მათ შორის, თანამშრომელთა შერჩევისას. დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2.3 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის დოკუმენტით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება სკოლაში დაცული თანამშრომლების პირადი საქმეებით, სადაც განთავსებულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.1.2.4 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს სკოლის პერსონალის მართვას და განვითარებას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით, რასაც მოწმობს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული პოზიციების, როგორც პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების კოორდინაცია და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფები, მათ მიერ ერთობლივად შესრულებული სამუშაოები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე №2-187, 09.06.25;
- დირექტორის მიერ დამტკიცებული ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის დოკუმენტი №2-188; 09.06.25.
- ინტერვიუ.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის №2-189 ბრძანება;
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	თბილისი, ჯავახეთის II შესახვევი №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მისიაში დეკლარირებულია დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების განხორციელების მზაობა, სკოლის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ განხორციელების თაობაზე არ ეწინააღმდეგება სკოლის მისიას, რომელშიც შეტანილია ცვლილება პროფესიული განათლების მიმართულების გამოკვეთის მიზნით, და თავსებადია დამტკიცებულ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან, კერძოდ, დამატებულია სტრატეგიული მიზანი: „შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება“.
სკოლას დამტკიცებული აქვს პროგრამის დაგეგმვასთან და შემუშავებასთან დაკავშირებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, თუმცა გამოცდილების ნაკლებობის გამო მიმდინარე ეტაპზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება წარიმართა აღნიშნული დებულებისგან განსხვავებულად.

2.1.1.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „გრაფიკული დიზაინი“ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტით გრაფიკული დიზაინი ემთხვევა პროგრამის დასახელებას გრაფიკული დიზაინის დადგენილ წინაპირობასთან, ხოლო დაშვების პროცედურები გაწერილია სკოლის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში, რაც შეესაბამება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებას. დამატებით სკოლის მიერ რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ არის განსაზღვრული.

2.1.1.3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის გაანგარიშების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს სკოლის რესურსების შეფასებას.
აუდიტორიები იძლევა ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობას. თითოეული გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამაზე სტუდენტების კვოტა ჯამში განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „გრაფიკულ დიზაინს“ თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტით გრაფიკული დიზაინით განსაზღვრულ ჩამონათვალს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

2.1.1.6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული,,საჯარო სკოლის წესდების” მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის №2-215 ბრძანებით.

2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „გრაფიკული დიზაინი“ შეესაბამება მისი შემუშავების საფუძველ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს გრაფიკული დიზაინი, შესაბამისად პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მისი შემუშავების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გრაფიკული დიზაინი. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სხვ.
პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების გაანგარიშების შედეგები
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე N2-189, 09.06.25
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N2-203; 13.06.25;
- სკოლის წესდება;
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის“ შედეგები მიიღწევა A, B და C ტიპის სასწავლო გარემოში სკოლის ბაზაზე. თუმცა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, რასაც ითვალისწინებს პროგრამის დანართი №2 ამ ეტაპზე არ არის სრულად მობილიზებული, რისთვისაც სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის გრაფიკული დიზაინის განსახორციელებლად შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა საკმარისია, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულების შეუფერხებელი წარმართვისთვის, რომლებთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები და მათი სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ დატვირთვას - 40 საათი.
სულ მობილიზებულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან ინტეგრირებული და ზოგადი მოდულებისთვის 8 განმახორციელებელი, ხოლო პროფესიული მოდულებისთვის 3 განმახორციელებელი.

2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს მეტწილად აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფუნქცია მოვალეობების დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება სკოლაში დაცული განმახორციელებლების პირადი საქმეებით, სადაც განთავსებულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
სკოლა, გამომდინარე იქიდან, რომ არ აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება, გეგმავს ზოგიერთი განმახორციელებელი პირების გადამზადებას პროფესიული განათლების თავისებურებების სასწავლო პროცესში გათვალისწინების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.1.4 პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის გრაფიკული დიზაინის ხელმძღვანელად შერჩეული პირის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფუნქცია მოვალეობების დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება სკოლაში დაცული პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით, სადაც განთავსებულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

სკოლის მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას გრაფიკულ დიზაინს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის გრაფიკული დიზაინის მოდულებით განსაზღვრულ ჩამონათვალს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში მობილიზებულია სკოლაში ელექტრონული სახით.

2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები.
განმახორციელებლები, საჭიროებისამებრ, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ჩართულობით, სსსმ პროფესიულ სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებენ სასწავლო რესურსს, კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტზე მორგების მიზნით.

2.2.1.7 დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლაში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გრაფიკული დიზაინის საპროგნოზო ბიუჯეტი, ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმებისთვის.

როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. დადგენილი რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე N2-189; 09.06.2025
- დირექტორის ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე N2-190; 09.06.25.

- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. სკოლა პროგრამაში ცვლილებების განსახორციელებლად გეგმავს გამოიყენოს პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე სკოლაში შემუშავებულია პროგრამის შეფასებისთვის განკუთვნილი კითხვარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.2 დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ თანახმად, სკოლა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, გამოცდილების დაგროვების შემდეგ, განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება მოსაზრებების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N2-203 10.06.25.
- კითხვარები;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „გრაფიკული დიზაინი“ შედგენილია სასწავლო გეგმა, როგორც ინტეგრირებული მოდულებით, ასევე ინტეგრირებული მოდულების გარეშე, ამასთან, გათვალისწინებულია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შესაძლებლობა. სასწავლო გეგმები აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული საკონტაქტო დატვირთვა არ აღემატება 30 საათს. სასწავლო გეგმით დაცულია ინტეგრირებული პროგრამების თავისებურებები. სასწავლო გეგმა გაწერილია ორ წელზე.

2.4.1.2 დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების“ დებულების თანახმად, დაცულია პროფესიული სტუდენტის ინტერესები. დაწესებულება განახორციელებს სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით მოახდენს რეაგირებას მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რის თაობაზეც ინფორმაცია მოცემულია მოდულებში. სკოლა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ტექნოლოგიების გამოყენებას, შესაბამისი სიახლეების გაცნობას და დანერგვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ თანახმად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რისთვისაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.

2.4.1.5 დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად, პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს.

2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია ზოგადი უსაფრთხოება, შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გრაფიკული დიზაინი სასწავლო პროცესი დაგეგმილია უსაფრთხო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გრაფიკული დიზაინის დარგობრივი სპეციფიკა არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებულ ნორმებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე №2-189, 09.06.25
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე №2-203,10.06.25.
- ინტერვიუ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები (ვალიდური, სანდო, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი). რეგულაციაში აღწერილია შეფასების ინსტრუმენტის შექმნისა და შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, დამატებითი შეფასების ჩატარების პროცედურა, გასაჩივრების წესი.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა.

2.4.2.3 დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით,

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

სსიპ ქალაქ თბილისის №145 საჯარო სკოლას მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გრაფიკული დიზაინი“პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე №2-189, 09.06.25
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე №2-203,10.06.25.
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

22.07.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: